



ელექტრონული მთავრობის რეალიზაციის ინფორმაციული უზრუნველყოფა სამეურნეო პროცესების ინფორმატიზაციის პირობებში

ვახტანგ ღათაშვილი –
სტუ-ს პროფესორი
social_economica@mail.ru
თინა მელქოშვილი –
სტუ-ს დოქტორანტი
tina.melkoshvili@tsu.ge

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია თემის აქტუალობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დღეისათვის მსოფლიოში მიმდინარე გლობალური სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები გამოწვეულია ტექნოლოგიური რევოლუციის ახალი ტალღით და ამ ცვლილებებს ვერც საქართველო აუვლის გვერდს. ის გამოწვევები, რაც მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების წინაშე დგას, საქართველოსთვისაც მისაღები და გასათვალისწინებელია. ციფრული დემოკრატიისა და ელექტრონული მმართველობის დამკვიდრება ქვეყნის წინსვლისა და განვითარების ერთადერთი გარანტია.

ნაშრომის პირველ თავში - „ელექტრონული მთავრობის ფორმირებისა და რეალიზაციის ორგანიზაციული ასპექტები ინფორმაციული საზოგადოების დამკვიდრების პირობებში“ განხილულია ელექტრონული მთავრობის სხვადასხვა სახის განმარტებები; დახასიათებულია ელექტრონული მთავრობა, როგორც სახელმწიფო ტრანსფორმაციის ინსტრუმენტი; ელექტრონული მთავრობის ფორმირების პროცესი განხილულია, როგორც სახელმწიფოს მდგრადი განვითარების და მსოფლიო ეკონომიკაში მისი სრულფასოვნად შესვლის აუცილებელი პირობა.

ნაშრომის მეორე თავში - „ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზაციის საზღვარგარეთული გამოცდილება“ განხილულია საინფორმაციო-ტექნოლოგიური რევოლუციის პირობებში ინფორმაციული საზოგადოების და ელექტრონული მთავრობის ფორმირების საზღვარგარეთული გამოცდილებები და ამ მიმართულებით მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციები.

ნაშრომის მესამე თავში - „საქართველოს რეგიონების ელექტრონული მთავრობის პროექტების საინფორმაციო უზრუნველყოფის მექანიზმის სტრუქტურა“ განხილულია საქართველოს რეგიონებში პროექტების საინფორმაციო უზრუნველყოფის არსებული მექანიზმები, მისი სტრუქტურა, არსებული ხარვეზები და პრობლემები, ასევე საქართველოს რეგიონებში ელექტრონული მთავრობის რეალიზების ძირითადი მიმართულებები. გამოვლენილია საქართველოს რეგიონებში ელექტრონული მთავრობის კონცეფციის დანერგვის ძირითადი პრობლემები. დასაბუთებულია რეგიონების ელექტრონული მთავრობის შეფასების ძველი ინსტრუმენტების გაუმჯობესება და ახალი კრიტერიუმების შემოღების აუცილებლობა.



შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიური ძვრები უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიო საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, იწვევს გლობალურ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. ციფრული, საინფორმაციო და საკომუნიკაციო გამოგონებების სფეროში ტექნოლოგიური რევოლუციის ახალმა ტალღამ დაასრულა დასავლეთის ქვეყნებში ინდუსტრიული ეპოქა და ის პოსტინდუსტრიულ ეპოქად შეცვალა.

სწორედ ტექნოლოგიურმა ძვრებმა გამოიწვია განვითარებულ სახელმწიფოებში ციფრული დემოკრატიისა და ელექტრონული მმართველობის დამკვიდრება, განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკური სისტემები და მათი მმართველობის რეჟიმები კი ახალი გამოწვევებისა და ამოცანების წინაშე დააყენა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ საქართველოში, ისევე როგორც ყველა სხვა დანარჩენ ქვეყნებში, გამოიწვია თვისობრივად ახალი - ეფექტიანი, მოქნილი, გამჭვირვალე და საზოგადოებაზე ორიენტირებული მთავრობის - ელექტრონული მთავრობის შექმნის აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის ზრდას საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების გზით, ასევე მოქალაქის როლის გაძლიერებას სახელმწიფოს მართვის პროცესში.

ელექტრონული მთავრობის ფორმირებისა და რეალიზაციის ორგანიზაციული ასპექტები ინფორმაციული საზოგადოების დამკვიდრების პირობებში

საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების დაჩქარებულად განვითარება და გავრცელება დღეს იძენს გლობალური საინფორმაციო რევოლუციის ხასიათს, რომელიც სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, მართვაზე, ფინანსებზე, მეცნიერებაზე, კულტურასა და საზოგადოების ცხოველქმედების სხვა ფორმებზე ეროვნული საზღვრების ფარგლებში და მთლიანად მსოფლიოში.

საინფორმაციო-ტექნოლოგიური რევოლუცია განსაზღვრავს მოძრაობას ახალი - ინფორმაციული ტიპის საზოგადოებისკენ ანუ, როგორც მას კიდევ უწოდებენ, ცოდნის საზოგადოებისკენ. მისი ჩამოყალიბების პროცესში თანდათანობით იშლება საზღვრები ქვეყნებსა და

ადამიანებს შორის, რადიკალურად იცვლება მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურა, უფრო დინამიკური და კონკურენტული ხდება ბაზარი. ინფორმაცია ხდება სახელმწიფოს ის ერთ-ერთი სტრატეგიული რესურსი, რომლის გამოყენების მასშტაბები ტრადიციული რესურსების გამოყენების თანაზომადი გახდა, მისი ხელმისაწვდომობა კი - სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი. ამის გამო ყოველი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და გლობალურ ინფორმაციულ საზოგადოებაში ინტეგრირება. ამ ამოცანის გადაწყვეტა დღეს სახელმწიფოს მდგრადი განვითარების და მსოფლიო ეკონომიკაში მისი სრულფასოვნად შესვლის აუცილებელ პირობად გვევლინება.

ინფორმაციული საზოგადოების კონცეფცია პოსტინდუსტრიალიზმის წიაღში ჩაისახა. ინფორმაციული საზოგადოების შექმნის პრობლემების განხილვა 1990-იანი წლების შუა პერიოდში დაიწყო ევროსაბჭოს, ევროკომისიის, იუნესკოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ თათბირებზე. 1998წ. ელექტრონული კავშირგაბმულობის კავშირმა (ITU) გაეროს საორგანიზაციო კომიტეტს მიმართა საინფორმაციო საზოგადოების თემაზე მსოფლიო სამიტის (WSIS) ჩატარების შესახებ. ამ სამიტზე იუნესკოს მნიშვნელოვანი წვლილი იყო „ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებების“ კონცეფციის შემუშავება. ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებების შექმნის იდეისადმი ერთგულებას მხარი დაუჭირეს მინისტრების იმ მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა, რომელიც 2003 წ. ოქტომბერში მოეწყო იუნესკოს გენერალური კონფერენციის დროს, სახელწოდებით - „ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებებს“.

ცოდნის საზოგადოებათა განვითარების შესახებ იუნესკოს კონცეფცია მაქსიმალურად სრულადაა წარმოდგენილი 2005 წ. გამოქვეყნებულ სპეციალურ მოხსენებაში¹. მის ავტორებს მკაფიოდ აქვთ გამიჯნული ცოდნის საზოგადოების კონცეფცია ინფორმაციული საზოგადოების განვითარების იდეისგან, რამდენადაც ინფორმაციული საზოგადოების ცნება ეყრდნობა, უპირველეს ყოვლისა, ტექნოლოგიის მიღ-

¹ Чугунов, А.В. Развитие информационного общества: теории, концепции и программы. Учебное пособие [Текст] / А.В. Чугунов. — Санкт-Петербург : Ф-т филологии и искусств СПбГУ, 2007. — 98 с.

² К обществам знания: Всемирный доклад ЮНЕСКО [Текст]. — Париж : Изд-во ЮНЕСКО, 2005. — 239 с.



წევებს. რაც შეეხება ცოდნის საზოგადოებებს, ეს ცნება უფრო ფართო სოციალურ ეთიკურ და პოლიტიკურ პარამეტრებს გულისხმობს.

ინფორმაციული ტექნოლოგიები სახელმწიფოს მართვაში („ელექტრონული მთავრობა“, „e-Government“) ინტერნეტის ქსელის გამოყენების ახალ ტენდენციად გვევლინება და პოტენციურად შეიძლება ისინი მასებში საინფორმაციო ტექნოლოგიების გავრცელების და ინფორმაციული საზოგადოების იდეების დანერგვის საკვანძო წერტილი აღმოჩნდეს.

ელექტრონული მთავრობის განვითარების სფეროში მეცნიერული კვლევების მიმართ უფრო გულმოდგინე მიდგომა სამეცნიერო კვლევითი სფეროს უფრო მკაფიო განმარტებით უნდა დავიწყოთ.

„ელექტრონული მთავრობის“ („electronic government“) ტერმინის გამოყენება აშშ-ში დაახლოებით 1993 წ. დაიწყო, შემოკლებული ფორმისა („e-government“) - დაახლოებით 1997 წელს³. ელექტრონული მთავრობის ფართოდ გამოყენებულ განმარტებათა შორის გამოყოფენ ეთგოს ფუნქციონერ განმარტებას: „ელექტრონული მთავრობა მთავრობებს შორის ახალი ურთიერთობებისა და იმ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შესაძლებლობას წარმოადგენს, რომლებიც ინფორმაციისა და მომსახურების გავრცელებისა და შეგროვების საშუალებას იძლევიან როგორც მთავრობის შიგნით, ისე მის გარეთ (მთავრობა მოქალაქეს; მთავრობა ბიზნესს; მთავრობა მთავრობას) მომსახურების გაწევის, გადაწყვეტილებისა და პასუხისმგებლობის მიღების მიზნით“⁴.

ეკონომიკური ლექსიკონის მიხედვით, ელექტრონული მთავრობა არის სახელმწიფო მმართველობის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით მმართველობითი პროცესების მთელი ერთობლიობის ავტომატიზაციას ეყრდნობა და რომლის მიზანია სახელმწიფო მმართველობის ეფექტიანობის არსებითად ამაღლება და სოციალური კომუნიკაციების დანახარჯების შემცირება საზოგადოების ყველა წევრისათვის⁵.

³ Heeks, R. Analyzing e-government research: Perspectives, philosophies, theories, methods, and practice [Text] / R. Heeks, S. Bailur // Government Information Quarterly. – 2006. – № 24(2). – P. 243-265.

⁴ Public Governance and Management. Definitions and Concepts: E-government. Web site of the OECD [Electronic resource] / OECD. – 2002. – URL: http://www.oecd.org/EN/about_further_page/0,,EN-about_further_page-300-nodirectorateno-no-11-no-no-1,FF.html.

⁵ რ. ასათიანი. თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი 2012.

ელექტრონული მთავრობის მრავალრიცხოვან განმარტებებს ერთი რამ აერთიანებს - ისინი ხაზს უსვამენ ელექტრონული მთავრობის კონცეფციის რეალიზებაში მთავრობის როლს, რომელიც ადმინისტრაციული, სერვისული დემოკრატიული და მმართველობითი პროცესების ინიციატორი, რეალიზაციის ინსტრუმენტი, კოორდინატორი და წამყვანი მონაწილეა.

ელექტრონული მთავრობის განმარტებებში ძირითადად წარმოდგენილია:

1. ტექნოლოგიური საშუალებები. ელექტრონული მთავრობის ყველა განმარტების პირველი და ფუნდამენტური ელემენტია გამოყენებულ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე მინიშნება. ამ კომპონენტს გამოხატავს ტერმინ „e-government“-ის წინ დასმული მისი ნაწილი „e“.

2. მთავრობის მიზნები და აქტიური როლი. მეორე ელემენტია მთავრობის მიერ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღებისა და გამოყენების მიზანი.

3. მოქალაქეები, კლიენტები და დაინტერესებული პირები. განმარტებათა უმრავლესობა ხაზს უსვამს იმ მთავარ დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც ელექტრონული მთავრობის ფორმირება ეხება.

4. გამოყენებითი სფეროები. ელექტრონული მთავრობის განმარტება შესაძლებელია გამოყენებაზე ან ფუნქციურ სფეროებზე მითითებით, რომელშიც შედის ადმინისტრაციული ფუნქციები, ფინანსური მენეჯმენტი, მომსახურების გაწევა (ელექტრონული ჯანმრთელობა, ელექტრონული განათლება და ა.შ.) და ა.შ.

ჩამოთვლილი პუნქტების შესაბამისად მოცემული სადისერტაციო კვლევის ფარგლებში მიზანშეწონილია შემდეგი განმარტება.

ელექტრონული მთავრობა არის მთავრობის მიერ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, განსაკუთრებით კი - Web-დანართების გამოყენება უფრო ეფექტიანი მთავრობის შექმნის მიზნით, რასაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ-მმართველობითი ფუნქციების გამარტივება, მთავრობისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის უფრო მოხერხებულად მიღება მოქალაქეებისა და დაინტერესებული პირების მიერ, ასეთ პირებთან ურთიერთობების და გარეგნობათა განხორციელების გაუმჯობესება და დემოკრატიულ პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის უკეთესი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

ელექტრონული მთავრობის იდეები 1990-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა დასავლეთის ქვეყნებში ადმინისტრაციული რეფორმების რეა-



ლიზაციის მსვლელობაში. გარდაქმნები ორიენტირებული იყო სახელმწიფო აპარატის მუშაობის ოპტიმიზაციაზე, რესურსების ეფექტიანად გამოყენებაზე, სახელმწიფო მომსახურების სპექტრის გაფართოებასა და ხარისხის ამაღლებაზე, აგრეთვე, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთქმედების უფრო ეფექტიანი სისტემის აგებაზე. იმ უფრო იაფი საშუალებების ძიების პროცესში, რომლებიც უკეთ მუშაობას ხდის შესაძლებელს, გამოვლინდა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიებს შეეძლო საუკეთესო შემწე ყოფილიყო ჩამოყალიბებული პრობლემების გადაწყვეტაში და გარდაქმნათა კატალიზატორის, ზოგჯერ კი - მთავარი ინსტრუმენტის როლიც შეესრულებინა.

ელექტრონული მთავრობის კონცეფცია ეყრდნობა საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობებს და ღია სამოქალაქო საზოგადოების ღირებულებებს, ხასიათდება მოქალაქეთა მოთხოვნილებებზე ორიენტირებით, ეკონომიკური ეფექტიანობით და საზოგადოებრივი კონტროლისა და ინიციატივისათვის კარგახსნილობით.

მთავრობის ფუნქციები საფუძვლად დაედო ელექტრონული მთავრობის ძირითად განზომილებებს, რომლებიც ოთხ სფეროდაა დაყოფილი:⁶

1. ელექტრონული ადმინისტრაცია (E-administration) ძირითადად ეხება მთავრობის ყველა იმ ადმინისტრაციულ და საექსპლუატაციო პროცესს, რომლებშიც საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებენ. ელექტრონული ადმინისტრაცია მჭიდრო კავშირშია ელექტრონულ მართვასთან (e-management).

2. ელექტრონული მომსახურება (E-services) ხასიათდება მოქალაქეებისა და სხვა მიზნობრივი აუდიტორიების მომსახურების უზრუნველყოფით, რაშიც საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებენ. ელექტრონული მომსახურება შედგება საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში გაწეული საინფორმაციო, საკომუნიკაციო და ტრანზაქციული მომსახურებისაგან, როგორიცაა ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და განათლება⁷.

⁶ Michel, H. e-Administration, e-Government, e-Governance and the Learning City: A typology of Citizenship management using ICTs [Text] / H. Michel // The Electronic Journal of e-Government. – 2005. - №3(4). – P. 213-218.

⁷ Public sector information: a key resource for Europe [Text] Green Paper on Public Sector Information in the Information Society / European Commission. – Brussels : European Commission, 1999. – 28 p.

3. ელექტრონული მმართველობა (E-governance) არის დაინტერესებულ პირთა ურთიერთობების მართვა და რეგულირება არაიერარქიულ საფუძველზე და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახმარებით, პოლიტიკაზე, მომსახურებასა და მთავრობის განვითარების ფუნქციებზე ზრუნვის მიზნით.

4. ელექტრონული დემოკრატია (E-democracy) ხასიათდება იმ დემოკრატიული სტრუქტურებით, პროცესებითა და მეთოდებით, რომლებშიც საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებენ გამჭვირვალობის, გადაწყვეტილებების დემოკრატიულად მიღების, მოქალაქეთა ჩართულობისა და მონაწილეობისათვის⁸.

ელექტრონული მთავრობის გამოყენებითი სფეროები დაინტერესებულ პირთა მთავარ ჯგუფებს უკავშირდება. ამ ჯგუფებს შორის ურთიერთობებს ხუთი მთავარი ფორმა აქვთ:

- მთავრობა მოქალაქეებს (Government-to-Citizens (G2C))
- მოქალაქეები მთავრობას (Citizens-to-Government (C2G))
- მთავრობა მთავრობას (Government-to-Government (G2G))
- მთავრობა ბიზნესს (Government-to-Business (G2B))
- ბიზნესი მთავრობას Business-to-Government (B2G))

ელექტრონული მთავრობის გამოყოფილი ფუნქციები საფუძვლად დაედო ელექტრონული მთავრობის განვითარების შეფასების სისტემურ-ფუნქციონურ მიდგომას. კვლევის ძირითადი იდეა იმაშია, რომ ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზაციის მაღალეფექტიანობას განაპირობებს პროექტების თანაბარზომიერად განვითარება ელექტრონული მთავრობის ყველა ფუნქციის მიხედვით. ელექტრონული მთავრობის ზოგადი ფუნქციური მოდელის ამოსავალი წერტილია სახელმწიფო და მის შიგნით მყოფი ცალკეული მოქალაქეები. იმის მიუხედავად, თუ რა მონდომება, ელექტრონული მომსახურება და კომუნიკაციის ინსტრუმენტებია ამოქმედებული, ისინი უნდა შეესაბამებოდეს განსახილველი ტერიტორიული გაერთიანებისთვისებურებებს და შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ეყრდნობოდეს მოქალაქეთა მოთხოვნილებებს და მათი ქცევის ნიმუშებს. დემოკრატიული სისტემის ცენტრს შეადგენენ მოქალაქეები, რომლებსაც სხვადასხვა როლის თამაში შეუძლიათ - ამომ-

⁸ Anttiroiko, A.-V. Introduction to Democratic e-Governance. [Text] eTransformation in Governance. - Hershey: Idea Group Publishing, 2004. – P. 22-49.



რწევლების, გადასახადის გადამხდელების, პოლიტიკური აქტივისტების, სამუშაო ძალის, მაცხოვრებლისა და მომსახურებით მოსარგებლის⁹.

ელექტრონული მთავრობის სისტემის ფუნქციონირების საწყისი პირობაა საინფორმაციო სისტემების, კერძოდ, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა მოქალაქეებისათვის. ამგვარად, ხელმისაწვდომობა ჩართული უნდა იყოს ელექტრონული მთავრობის მოდელში როგორც მისი ერთ-ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტი. ხელმისაწვდომობას ორი ძირითადი განზომილება აქვს: (ა) გამოსაყენებელი გარემოს ფიზიკური ხელმისაწვდომობა, როგორიცაა ხელმისაწვდომობა შინ, ქსელური კომპიუტერები სამუშაო ადგილზე, ინტერნეტ-კაფეები, ღიად ხელმისაწვდომი პუნქტები, და (ბ) გადაწყვეტილებები ვირტუალური ხელმისაწვდომობისათვის, ონლაინ-ინფორმაციისა და მომსახურების პორტალები და ინტერფეისები¹⁰. ინტერნეტის ხელმისაწვდომობა ელექტრონული მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სერიოზული პრობლემაა განვითარებად ქვეყნებში, რომლებშიც ადამიანთა უმრავლესობას ნაკლებად მიუწვდება ხელი ქსელურ სამყაროზე.

ელექტრონული მთავრობის შექმნის მიზანი ისაა, რომ იგი ტრადიციული მთავრობის დანამატი ან ანალოგი კი არაა, არამედ მხოლოდ განსაზღვრავს ურთიერთქმედებათა ახალ ხერხს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენების საფუძველზე და სახელმწიფო მომსახურების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით¹¹.

ელექტრონული მთავრობის შექმნა გულისხმობს სახელმწიფო-ადმინისტრაციული უწყებების მიერ საკუთარი საიტების დამუშავებას, მათი ტექნოლოგიური მომსახურების უზრუნველყოფას, უწყვეტ ფუნქციონირებასა და ეფექტიან ურთიერთქმედებას. სახელმწიფო დაწესებულებების ინტერნეტ-რესურსი აუცილებელ წარმოდგენას უნდა იძლეოდეს შესაბამისი უწყების აგებულებასა და საქმიანობაზე და აღჭურვილი უნდა იყოს სხვა სამთავრობო დაწესებულებებთან ოპერატიული ურთიერთქმედების საშუალებით. ამგვარი ონლაინური წარმონაქმნების

სისტემამ მომავალში არა მარტო ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები უნდა მოიცვას, არამედ რეგიონებშიც უნდა გავრცელდეს, მათ შორის - ქალაქებისა და მსხვილი ეკონომიკური ცენტრების ადმინისტრაციებში.

ამგვარად, ელექტრონული მთავრობის შექმნამ უნდა უზრუნველყოს არა მარტო უფრო ეფექტიანი და ნაკლებად ხარჯიანი ადმინისტრირება, არამედ საზოგადოებასა და მთავრობას შორის ურთიერთობათა კარდინალურად შეცვლა. ეს საბოლოო ჯამში გამოიწვევს დემოკრატიის სრულყოფას და ხელისუფლების პასუხისმგებლობის ამაღლებას ხალხის წინაშე.

ელექტრონული მთავრობის საშუალებით შესაძლებელი ხდება ხელისუფლების სამი ძირითადი პრობლემის გადაჭრა:

1. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის შემოღება, რომელიც ამცირებს ბიუროკრატიულ გაჯანჯლებას და აჩქარებს გადაწყვეტილებათა მიღებას;

2. მთავრობასთან საზოგადოებისა და ბიზნესის ურთიერთობისთვის ელექტრონული ფორმის მიცემა ერთი სარკმლის (სამთავრობო პორტალის) პრინციპით;

3. სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის მეტი გამჭვირვალობის მიზნება და მოქალაქეებთან ხელისუფლების მიახლოება.

ქვეყანაში ელექტრონული მთავრობის დანერგვა ჰარმონიულს ხდის ხელისუფლებისა და მოსახლეობის ურთიერთობას. შედეგად ყალიბდება სახელმწიფო მმართველობის ახალი პარადიგმა, რომელიც ინტერნეტის მეშვეობით ყველა სტრუქტურისა და ინსტიტუტის ურთიერთქმედებას ეყრდნობა (სახელმწიფო მოსამსახურეები, ბიზნესი, აქტიური მოქალაქეები, საგანმანათლებლო და კვლევითი ინსტიტუტები, საზოგადოებრივი ჯგუფები, სამოქალაქო ორგანიზაციები). ამგვარად, ელექტრონული მთავრობა სახელმწიფოს მართვის სისტემის ახალ კონცეფციად და საზოგადოების მასშტაბური ინფორმაციული გარდაქმნის ელემენტად გვევლინება.

ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზაციის საზღვარგარეთული გამოცდილება

ამჟამად მრავალ ქვეყანაში მიმდინარეობს ახალ სოციალურ ფორმაციაზე, გლობალურ ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლის პროცესი, რომელიც ეროვნული ინფორმაციული ინფრასტრუქტურების ერთობლიობა იქნება. პირობითად გამოყოფენ ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ორ ძირითად მოდელს: დასავ-

⁹ Michel, H. e-Administration, e-Government, e-Governance and the Learning City: A typology of Citizenship management using ICTs [Text] / H. Michel // The Electronic Journal of e-Government. – 2005.

¹⁰ von Lucke, J. Portals for the public sector [Text] / J. von Lucke // Encyclopedia of Digital Government. – 2007. - Vol. 3. - P. 1328-1333.

¹¹ Дрожжинов, В.И. Мониторинг услуг электронного правительства [Электронный ресурс] / В. И. Дрожжинов. – Режим доступа: <http://www.iatp.am/economics/egov/it%20government.pdf>



ლურსა და აღმოსავლურს. თანაც, დასავლური მოდელის ფარგლებში ევროპის მიერ არჩეული გზა უნდა გამოვეყნოთ ამერიკულისგან, ხოლო აღმოსავლურის ფარგლებში ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი ჩინეთს უჭირავს¹².

ევროკავშირის მაკროეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ნიშან-თვისებაა სახელმწიფოს მხრიდან სრულ კონტროლსა და ბაზრის კანონებს შორის გარკვეული ბალანსის ძიება, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამთავრობო და საბაზრო ძალების შეხამება. ინფორმაციული საზოგადოების განვითარებაში სახელმწიფოს როლისადმი ეს მიდგომა გამოხატულია ევროკავშირის 1993 წ. რეზოლუციაში, სადაც აღნიშნულია საბაზრო და სოციალურ ორიენტაციას შორის ბალანსის მიღწევის აუცილებლობა. ამან ასახვა პოვა დანიის მთავრობის ანგარიშში „ინფორმაციული საზოგადოება 2000“, სადაც ხაზგასმულია ის, რომ ბაზარს არ უნდა მიეცეთ ინფორმაციის ტრადიციის დამუშავების სტრატეგიის გაკონტროლების უფლება, თუმცა, ეს სტრატეგია საბაზრო ძალების შესაძლებლობებს უნდა ითვალისწინებდეს¹³. არანაკლებ მნიშვნელოვანი მეორე პრობლემაა ის, თუ რა უნდა განვითარდეს თავიდან - ქსელები თუ მომსახურება. საზოგადოდ, ევროპაში ის აზრია გაბატონებული, რომ პირველ რიგში მომსახურების სფეროს განვითარებაა საჭირო. ამ პრობლემაზე საპირისპირო აზრი აქვთ საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს. მათ გეგმებში მინიშნებულია, რომ სწორედ ქსელების განვითარებაა მომსახურების სფეროს განვითარების წამყვანი ფაქტორი. 2000 წ. ევროკავშირის ლიდერებმა მიიღეს ლისაბონის სტრატეგია¹⁴ საიდანაც, რომ ეს კავშირი ცოდნაზე დაფუძნებული ყველაზე დინამიკური და კონკურენტუნარიანი ეკონომიკა გახდეს მთელ მსოფლიოში. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ამ მიზნის მიღწევის საკვანძო კომპონენტებად იქცა. შეიმუშავეს სპეციალური პროგრამა „eEurope“¹⁵, რათა მომხდარიყო ლისაბონის სტრატეგიის რეალიზება საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებში.

¹² Чернов, А.А. Становление глобального информационного общества: проблемы и перспективы [Текст] / А.А. Чернов. – Москва : Издательско-торговая корпорация «Дашков и К°», 2003. – 232 с.

¹³ Вершинская, О.Н. Существующие модели построения информационного общества [Текст] / О.Н. Вершинская // Информационное общество. - 1999. - № 3. - С. 53.

¹⁴ LisbonStrategy[Electronicresource].-URL:http://cordis.europa.eu/programme/rcn/843_en.html

¹⁵ eEurope - An information society for all [Text] / Communication on a commission initiative for the special European Council of Lisbon. – Brussels, 2000. – 16 p.

პირველი ინიციატივა იყო მთელი რიგი ევროპული კვლევითი პროგრამების გატარება. 1984 წ. ამოქმედდა საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის კვლევის მხარდამჭერი პროგრამა ESPRIT, მომდევნო წელს - ტელეკომუნიკაციების კვლევის მხარდამჭერი პროგრამა PACE.

2000-2002 წლების „eEurope“-ს გეგმას სამი მთავარი მიზანი ჰქონდა: უფრო იაფი, სწრაფი და უსაფრთხო ინტერნეტი, ინვესტიციები ადამიანთა უნარ-ჩვევებში და ინტერნეტ-ქსელის გამოყენების გაფართოება. 2005 წ. „eEurope“-ს გეგმაში ეს გეგმები შეცვალეს „ონლაინ“ რეჟიმში სახელმწიფო მომსახურების გაწევით, ელექტრონული კომერციის დინამიკური გარემოთი, ფართო ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხო საინფორმაციო ინფრასტრუქტურის საყოველთაოდ გავრცელებით¹⁶. ორივე გეგმა მოიცავს ისეთ ქმედებებს, რომლებიც ქსელის სტიმულირებასაც იწვევენ და კონტენტის განვითარებასაც.

ინფორმაციული საზოგადოების აშენება იმ „საერთო საინფორმაციო ზონის“ შექმნასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია ხუთ ასეთ პრინციპს შორის, რომელიც საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და ტელემატიკურ ინფრასტრუქტურას ეყრდნობა.

ამ სფეროში არსებითი დოკუმენტებია, აგრეთვე, „ელექტრონული მთავრობის როლი ევროპის მომავლისთვის“ („The Role of E-Government for the Future of Europe“¹⁷) და „ელექტრონული მთავრობა ევროპაში: საქმის ვითარება“ („E-Government in Europe: The State of Affairs“¹⁸), რომლებიც ევროპის კონფერენციაზე იყო წარმოდგენილი იტალიის ქ. ჩერნობიოში.

ევროკავშირის დონეზე არსებული ინიციატივების პარალელურად მისი წევრი სახელმწიფოების უმრავლესობამ განსაზღვრა თავისი საკუთარი ეროვნული სტრატეგიები როგორც „eEurope“-ს პროგრამის ნაწილები. 1990-იანი წლების დასაწყისში ყველა ქვეყანაში მოღვაწე იქცა იმის საკუთარი გეგმის შედგენა, თუ როგორ უნდა მიეღწიათ მსოფლიო ჩემპიონობისათვის საინფორმაციო-საკომუნი-

¹⁶ URL: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52005DC0229>.

Some key issues in Europe,s competitiveness— Towards an integrated approach [Electronic resource].2005. – URL: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52003DC0704>

¹⁷ The Role of eGovernment for Europe’s Future [Text].- Brussels:Commission of the European communities, 2003. - 26 p.

¹⁸ Leitner, C. E-Government in Europe: The State of Affairs[Text] / C. Leitner. - Maastricht: European Institute of Public Administration, 2003. - 63 p.



კაციო ტექნოლოგიების განვითარებაში¹⁹.

ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების ამერიკულ გზას განსაზღვრავს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგადი მოდელი, რომელშიც სახელმწიფოს ფუნქციები მინიმუმამდე, კერძო პირების საქმიანობა კი - მაქსიმუმამდეა მიყვანილი. ამ მიდგომაში მთავარია ყველაფრის დატოვება კერძო სექტორისა და საბაზრო ძალების ხელში, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბაზრის სრულად ლიბერალიზება.²⁰

აშშ-ში ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ისეთი ელექტრონული მთავრობის შექმნა, რომელიც ყველა საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფს მოსახლეობას. ელექტრონული მთავრობის შექმნა მიმდინარეობს მთავრობის მეტი კარგახსნილობისა და მოქალაქეების წინაშე მისი ანგარიშვალდებულების ღოზუნით.

აშშ-ში ელექტრონული მთავრობის შექმნის საკანონმდებლო ბაზის შექმნა უ. კლინტონისა და ა. გორის ადმინისტრაციამ დაიწყო 1995 წ., როცა მიიღეს კანონი „ქაღალდის დოკუმენტბრუნვის შემცირების შესახებ“²¹. 1996 წ. არსებითად გადაამუშავეს კანონპროექტი „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“²² (The Freedom of Information Act) და მიიღეს კლინჯერ-კონის კანონი „საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების რეფორმის შესახებ“²³. შემდეგ კანონს „სამთავრობო დაწესებულებებში ქაღალდის დოკუმენტბრუნვისგან განთავისუფლების შესახებ“²⁴.

1998 წ. მოაწერეს ხელი. 1999 წ. დეკემბერში კლინტონმა ხელი მოაწერა ორ მემორანდუმს - ელექტრონული მთავრობის შესახებ (Electronic Government)²⁵ და საზოგადოების სასარგებლოდ

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ (Use of Informational Technology to Improve Our Society).²⁶ შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ამერიკის სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობაში ელექტრონული მთავრობის ტექნოლოგიების დანერგვის ფართომასშტაბიანი პროექტის სტარტი. ძირითად პრობლემად ის დაისახა, რომ მოქალაქე აქამდე იძულებული იყო კონკრეტული უწყებების მიმართა და არა მთელი მთავრობისთვის²⁷. ელექტრონულ ტექნოლოგიებს დაეკისრა მთავრობის მოდერნიზაციის სამი მიზანი: მოქალაქეების მიერ მომსახურების მიღების გაადვილება და მათი ურთიერთქმედება ფედერალურ მთავრობასთან; მთავრობის ეფექტიანობისა და ნაყოფიერების გადიდება; მოქალაქეთა თხოვნებზე მთავრობის გამომხატვრების გაუმჯობესება²⁸.

2002 წ. 17 დეკემბერს პრეზიდენტმა ჯორჯ უ. ბუშმა ხელი მოაწერა კანონს ელექტრონული მთავრობის შესახებ (the E - Government Act of 2002). ამ კანონს დაევადა უფრო ხელმისაწვდომი გაეხადა ინფორმაცია მთავრობის შესახებ და მოქალაქეებისთვის, მოსამსახურეებისთვის, სხვა სააგენტოებისა და იურიდიული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ²⁹.

ელექტრონულ მთავრობაზე მომუშავე ჯგუფმა შემდგომში ინიციატივები, ხუთ კატეგორიად დააჯგუფეს: მთავრობა მოქალაქეებს, მთავრობა მთავრობას, მთავრობა ბიზნესს, შიდა ნაყოფიერება და ეფექტიანობა და, ბოლოს, კატეგორია, რომელიც უწყებებს შორის ბარიერების შემცირებისკენაა მიმართული ელექტრონული მთავრობის წარმატებით შექმნის მიზნით³⁰. აშშ-ის ელექტრონული მთავრობის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს სახელმწიფო ონლაინ-მომსახურებანი.

ამგვარად, აშშ-ში ჩამოყალიბდა ელექტრონული მთავრობის განვითარებისა და ელექტრონული სახელმწიფო მომსახურების ნაბიჯ-ნაბიჯ

¹⁹ Henten, A. European planning for an information society [Text] / A. Henten, M. Falch, K.E. Skouby // Telematics and Informatics. - 1996. - № 13(2). - P. 177-190.

²⁰ Чернов, А. А. Становление глобального информационного общества: проблемы и перспективы [Текст] / А.А. Чернов. - Москва : Издательско-торговая корпорация «Дашков и К°», 2003. - 232 с.

²¹ Paperwork Reduction Act of 1995 [Electronic resource]. - URL: <http://www.archives.gov/federal-register/laws/paperwork-reduction/>

²² The Freedom of Information Act [Electronic resource]. - URL: http://www.justice.gov/oip/foia_updates/Vol_XVII_4/page2.htm

²³ Information Technology Management Reform Act of 1996 [Electronic resource]. - URL: <http://govinfo.library.unt.edu/npr/library/misc/itref.html>

²⁴ Memorandum on Electronic Government [Electronic resource]. - 1999. - URL: <http://www.gpo.gov/fdsys/pkg/PPP-1999-book2/pdf/PPP-1999-book2-doc-pg2317.pdf>

²⁵ Use of Informational Technology to Improve Our Society [Electronic resource]. - URL: http://findarticles.com/p/articles/mi_m2889/is_51_35/ai_59520696/

²⁶ Кристалльный, Б.В. Электронное правительство. Опыт США [Текст] / Б.В. Кристалльный, Ю.В. Травкин; под ред. В.И. Дрожжинова. - Москва : Эко-Трендз, 2003. - С. 23-27.

²⁷ E-government strategy [Electronic resource] / Office of Management and Budget. - 2002. - URL: <http://www.whitehouse.gov/omb/pubpress/2003-12.pdf>

²⁸ Seifert, J.W. E-Government Act of 2002 in the United States [Text] / J.W. Seifert, H.C. Relyea // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. - P. 154-161.

²⁹ Seifert, J.W. E-Government Act of 2002 in the United States [Text] / J.W. Seifert, H.C. Relyea // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. - P. 154-161.

³⁰ Kubo, S. Local E-Government in Japan: IT Utilization Status and Directions [Text] / S. Kubo, T. Shimada // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. - P. 2217-2230.



დანერგვის პროცესის როგორც ადმინისტრაციული რეფორმის განუყოფელი ნაწილისა და ბირთვის მართვის სიტყმა.

ინფორმაციული საზოგადოების განვითარების აღმოსავლური მოდელის წარმომადგენლები ცდილობენ დასავლეთის ალტერნატიული მოდელის შექმნას, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ინდუსტრიალიზაციის, ინფორმატიზაციისა და სოციალური განვითარების მიმართ საკუთარი ღირებული ორიენტაციის დამკვიდრებას ეფუძნება. მას საფუძვლად უდევს სახელმწიფოსა და ბაზრის თანამშრომლობა. აღმოსავლური მოდელის ფარგლებში გამოყოფენ იაპონიას.

„იაპონური ეკონომიკური სასწაული“ ქრესტომათიულ ცნებად იქცა ინფორმაციული საზოგადოების განვითარებაში. დღესამ ქვეყნის მიღწევები ხსენებულ დარგში აშშ-ის წარმატებების შესაბამისია. ამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მეცნიერულ კვლევებსა და დამუშავებებზე გაწეული მნიშვნელოვანი დანახარჯები და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების გადაჭრაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დიდი პრიორიტეტი.

იაპონიის სტრატეგიული მიზნები ინფორმატიზაციის სფეროში გახდა ურთიერთდაკავშირებული და თავსებადი სატელეკომუნიკაციო ქსელების ყველაზე დიდი რაოდენობის, საინფორმაციო მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების შექმნა, პროგრამული უზრუნველყოფისა და საინფორმაციო მომსახურების განვითარება, კვალიფიციური კადრების მომზადება საინფორმაციო სფეროსთვის, რამაც უზარმაზარი სტიმული მისცა ინფორმაციაზე ორიენტირებული საქმიანობის თავბრუდამხვევი ტემპებით განვითარებას.

2000 წ. ნოემბერში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ძირითადი სტრატეგიის (Basic IT Strategy) შესაბამისად მიიღეს კანონი იაპონიაში დაწინაურებული ინფორმაციულ-კომუნიკაციური საზოგადოების ფორმირების (the Basic Law on the Formation of an Advanced Information and Telecommunications Network Society) შესახებ³¹. მასში აქცენტირებული იყო იაპონიის ფორმირება მაღალგანვითარებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მქონე ქვეყნად, ასეთი საზოგადოების ერთ-ერთი ელემენტი კი ელექტრონული მთავრობა უნდა ყოფილიყო³².

„ელექტრონული იაპონიის“ („e-Japan“) სტრატეგია 2001 წ. 22 იანვარს დააანონსეს ეროვნულ სტრატეგიად.

იაპონიაში ელექტრონული მთავრობის შექმნის რეალურ პროგრესს მიაღწიეს მოქალაქეებისა და ფირმებისთვის იმის შესაძლებლობის შექმნაში, რომ მათ განაცხადები შეეტანათ და რეგისტრაცია განეხორციელებინათ პრაქტიკულად ყველა ეროვნული ადმინისტრაციული პროცედურისათვის³⁴. 2005 წ. მარტიდან ასეთი პროცედურების 96% ონლაინშია ხელმისაწვდომი, მაგალითად, გადასახადის რეგისტრაცია და სოციალური დაზღვევის სისტემის გამოთხოვა.

„აზიის ვეფხეების“ (სამხრეთ კორეა, სინგაპური, ტაივანი და ჰონკონგი) ინფორმაციულ განვითარებას საფუძვლად უდევს სახელმწიფოსა და ბაზრის ეკონომიკური თანამშრომლობა³⁵. ამ ქვეყნების წარმატება განაპირობა კერძო კაპიტალის მსხვილ დაბანდობათა საკითხზე გადაწყვეტილებათა მიღებაში სახელმწიფოს ჩარევამ და მისმა აქტიურად მონაწილეობამ ეროვნული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის შექმნაში.

სამხრეთ კორეაში ელექტრონული მთავრობის შექმნა დაიწყო ადმინისტრაციული ინფორმაციის გადაყვანით მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

კორეის ელექტრონული მთავრობის კონცეფციაში რეალიზდება პროგრამა „მთავრობა მოქალაქეებისათვის“ (G4C), რომელმაც უნდა გაამარტივოს ქვეყნის მოქალაქეებთან და იურიდიულ პირებთან სახელმწიფო ორგანოების ურთიერთქმედებათა პროცედურები. ამჟამად მთავრობა მრავალ ინტეგრაციულ ონლაინ-მომსახურებას ეწევა, მათ შორის - „ერთი სარკმლის“ პრინციპით.

სამხრეთ კორეის ელექტრონულმა საბაჟო სამსახურმა მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა ონლაინ-რეჟიმში საექსპორტო-საიმპორტო პროცედურების 100%-იანი განხორციელებით. შესყიდვების ელექტრონულმა სისტემამ პრემია მოიპოვა საინფორმაციო ტექნოლოგიების მსოფლიო კონგრესზე. ინტერნეტის მეშვეობით საგადასახადო სისტემა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ საუკეთესო მოდელად ცნო. „e People“-ს სამსახური, რომელიც სახელმწიფოს ცხოვრებაში სამხრეთ კორეის მოქალაქეთა ონლაინმონაწილეობის ზრდა-განვითარებისთვის იყო შექმნილი, მსოფლიოს 10 საუკეთესო სამსახურად აღიარდა.

³¹ Ministry of Public Management, Home Affairs, Posts and Telecommunication [Electronic resource].

³² e-JapanStrategy[Electronic resource]. -URL: http://www.kantei.go.jp/foreign/it/network/0122full_e.html

³³ Government of Japan (GOJ) [Electronic resource]. - 2005. - URL: http://www.guoukaku.go.jp/siryou/index_kouhyou.html

³⁴ Чернов, А. А. Становление глобального информационного общества: проблемы и перспективы [Текст] / А.А. Чернов. – Москва : Издательско-торговая корпорация «Дашков и К°», 2003. – 232 с.

³⁵ Жумабаева, Р. Электронное правительство Южной Кореи / Р. Жумабаева [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://www.dgt.kz/?pg=view&vip=32&razd=2&id=525>



ურს შორის აირჩია ელექტრონული მთავრობის მსოფლიო ფორუმმა³⁶.

აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სინგაპური, რომელსაც შემუშავებული აქვს სტრატეგიული გეგმა ინტელექტუალური კუნძული. მისი გეგმები იმაში მდგომარეობს, რომ გახდეს განვითარებული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის მქონე ერთ-ერთი პირველი ქვეყანა და უზრუნველყოს კომპიუტერების კავშირი პრაქტიკულად ყველა სახლში, სკოლაში ან სამუშაო ადგილზე.

სინგაპურში სამთავრობო მომსახურების მნიშვნელოვანი რაოდენობა დღეს ონლაინ-სისტემის მეშვეობითაა ხელმისაწვდომი. ელექტრონული მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პროგრამაა „ელექტრონული მოქალაქე“ (e-Citizen), რომელიც სხვადასხვა სამთავრობო უწყების მიერ გაწეული მომსახურების ინტეგრირებული პაკეტი.

სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებების სფეროში ჩინეთის მთავრობის მასშტაბურ ინვესტიციებსა და უცხოური კაპიტალის მოზიდვას უკვე მოაქვს თავისი ნაყოფი და მომავალში ახალი ტექნოლოგიების ერთ-ერთ მსოფლიო ცენტრად გადაქცევის უქადის ოდესღაც ტექნიკურად ჩამორჩენილ ამ ქვეყანას.

ჩინეთში ელექტრონული მთავრობის განვითარების პროცესი სამ მთავარ ფაზად შეიძლება დაიყოს. პირველია ინფორმაციისა და საკონსულტაციო მომსახურების ონლაინმიწოდება. ამ ფაზაში სამთავრობო ინფორმაციასა და მომსახურებას მოქალაქეებს ინტერნეტით აწვდიან; მეორე ფაზა ორიენტირებულია სახელმწიფო მომსახურების ონლაინ გაწევაზე; მესამე ფაზა გაერთიანებული ონლაინმომსახურებებია. ისინი იმ ფუნქციებისადმი და მომსახურებისადმი მიმართული, რომლებსაც საერთო სამთავრობო ვებ-საიტით ერთმანეთთან დაკავშირებული სხვადასხვა განყოფილება ეწევა. მისი მიზანია მომსახურების გაწევა „ერთი სარკმლის“ პრინციპით.³⁷

2000 წ. ამოქმედდა ჰონკონგის ელექტრონული მთავრობის ცენტრალური ოფისი (the Central Cyber Government Office CCGO)), რომელსაც 2008 წ. 100 000-ზე მეტი მოსარგებლე ჰყავდა. ეს საიტი ასრულებს საინფორმაციოპორტალის ფუნქციებს, ხელს უწყობს ელექტრონული გარიგებების დადებას, შეიცავს ფორუმის განყოფილებებს, სა-

დაც სახელმწიფო მოხელეებს შეუძლიათ თავიანთი მუშაობის განხილვა, აგრეთვე, მინიშნებები აქვს სამთავრობო ვებ-საიტებზე.

ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების პირობებში ელექტრონული მთავრობის პროექტების განვითარება სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს.

2010 წელს, ისევე როგორც წინა წლები, მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს ელექტრონული მთავრობის განვითარების ყველაზე მაღალი ინდექსები ჰქონდათ. ამ მხრივ პირველ ხუთეულში იყვნენ: კორეის რესპუბლიკა (0.8785), აშშ (0.8510), კანადა (0.8448), დიდი ბრიტანეთი (0.8147) და ნიდერლანდები (0.8097).

რეგიონების მიხედვით ქვეყნების დაჯგუფების შესაბამისად განვითარების საშუალოზე (0.4406) მაღალი მაჩვენებლები აქვთ ევროპასა (0.6227) და ამერიკას (0.4790). აზიაში ეს ინდექსი (0.4424) თითქმის უტოლდება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს, აფრიკასა და ოკეანეთში კი ნაკლებია მასზე (შესაბამისად, 0.2733 და 0.4193).

გასაკვირი არაა, რომ ელექტრონული მთავრობის განვითარების ინდექსის ყველაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნებს შორის უმრავლესობა მაღალშემოსავლიანი ქვეყნებია. მათ აქვთ ფინანსური რესურსები როგორც ელექტრონული მთავრობის შექმნაში ინიციატივების განვითარებისა და გაფართოებისათვის, ისე სამოქალაქო ვალდებულებებისა და უფლებამოსილებებისათვის სასიკეთო გარემოს შექმნისათვის. განვითარებულ ქვეყნებს აშკარა უპირატესობა აქვთ ზემოხსენებულ რეიტინგში პირველი ადგილების დასაკავებლად: ელექტრონული მთავრობის განვითარების ინდექსის თითქმის ორ მესამედს შეადგენს სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების ინდექსი და ადამიანური კაპიტალის განვითარების ინდექსი, რომლებიც გრძელვადიან ინვესტიციებს მოითხოვენ. განვითარებადი ქვეყნებისთვის პრობლემაა კაპიტალის დაბანდება აუცილებლობა სამივე განზომილებაში - ონლაინ მომსახურებაში, სატელეკომუნიკაციო სტრუქტურასა და განათლებაში. ეს კი საჭიროა მაღალშემოსავლიანი ქვეყნებისგან საინფორმაციო განვითარებაში არსებული ჩამორჩენის შესამცირებლად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ელექტრონული მთავრობის საუკეთესო ვებ-სერვისი უმნიშვნელო რაოდენობით გასწევს ელექტრონულ მომსახურებას, თუკი ქვეყანაში ადამიანთა უმრავლესობას ან წერა-კითხვა არ ეცოდინება, ან ინტერნეტზე არ მიუწვდება ხელი.

მთლიანობაში ქვეყნებმა დაიწყეს მეტი ადამიანური და ფინანსური რესურსების ხარჯვა მუდმივად მზარდი საინფორმაციო მოთხოვნის-

³⁶ Lu, Z. The Development of Urban E-Government in China [Text] / Z. Lu, J. Zhang, B. Han, Z. Deng, J. Lu // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. - P.655-675.

³⁷ United Nations E-Government Survey 2012: E-Government for the People [Text] / UN Department of Economic and Social Affairs. - New York : UNDESA, 2012. - 143 p.



ბების დასაკმაყოფილებლად.

სულ უფრო მეტი ქვეყანა ამ მოთხოვნებიდან აკმაყოფილებს ონლაინ გამოკითხვების, ბლოგების, მიმოხილვებისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ასეთი ქვეყნების მეტი და მეტი რაოდენობა აღიარებს ინტერნეტის მეშვეობით უკუკავშირის მნიშვნელობას მოქალაქისათვის, აგრეთვე, იყენებს სოციალური ქსელების ინსტრუმენტების უპირატესობებს ვებ-საიტებისა და ვებ-პორტალების გაუმჯობესებისათვის.

2012 წ. გაერომ გამოაქვეყნა „ელექტრონული მთავრობის მიმოხილვა 2012. ელექტრონული მთავრობა ხალხისათვის“ („United Nations E-Government Survey 2012 E-Government for the People“)³⁸. ამ კვლევის ძირითადი შედეგების მიხედვით კორეის რესპუბლიკა მსოფლიო ლიდერია ელექტრონული მთავრობის კუთხით (0.9283), რომელსაც მოსდევნენ ნიდერლანდები (0.9125), დიდი ბრიტანეთი (0.8960) და დანია (0.8889). ლიდერთა ჯგუფს მოყვება აშშ, კანადა, საფრანგეთი, ნორვეგია, სინგაპური და შვედეთი.

ელექტრონული მთავრობის განვითარების ინდექსის ყველა მაჩვენებლის მიხედვით ქვეყნების მდგრადმა განვითარებამ ელექტრონული მთავრობის განვითარების საშუალო მსოფლიო ინდექსის 0.4877-მდე აწევა განაპირობა, რომელიც 2010 წელს, როგორც ზემოთ ვთქვით, 0.4406-ის ტოლი იყო. ეს იმას მიუთითებს, რომ ქვეყნებმა მთლიანობაში გააუმჯობესეს ონლაინ მომსახურება მოქალაქეთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. რეგიონულ დონეზე ლიდერობენ ევროპა (0.7188) და აღმოსავლეთ აზია (0.6344), რომელთა ქვემოთ ადგილს იკავებენ ჩრდილო ამერიკა (0.5403), სამხრეთ აზია (0.3464) და აფრიკა (0.2762).

მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს განვითარებულსა და განვითარებად ქვეყნებს შორის „ციფრული უთანაბრობა“, განსაკუთრებით ეს აფრიკაში შეინიშნება. ამ რეგიონში ინდექსის საშუალო მნიშვნელობა ჩრდილოეთ ამერიკაში მისი სიდიდის 30%-ს და საშუალო მსოფლიო მაჩვენებლის 50%-ს აღწევს. უთანაბრობის მთავარი მიზეზია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის უქონლობა, რაც ხელს უშლის ინფორმაციისა და ცოდნის გამოყენებას.

საქართველოს რეგიონების ელექტრონული მთავრობის პროექტების საინფორმაციო უზრუნველყოფის მექანიზმის სტრუქტურა

ელექტრონულმა მთავრობამ სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების უფრო ეფექტიანი ურთიერთქმედების შესაძლებლობები შექმნა, სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზების პროცესებში მოქალაქეთა ჩართვის ახალი ხერხები მოიტანა, სადაც აქცენტირებულია პრობლემების თავისუფლად განხილვა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის თანაბარუფლებიანი მონაწილეობა. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პოტენციალმა ისეთი ახალი მიზნების დასახვა გახადა შესაძლებელი, რომლებიც წინათ მიუღწეველი იქნებოდა საკომუნიკაციო გარემოს ტექნოლოგიური შეზღუდულობის გამო. დღეს მრავალ ქვეყანაში ელექტრონულ მთავრობას განიხილავენ სახელმწიფო ხელისუფლების სისტემის მოდერნიზების ისეთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, რომელიც პასუხს აგებს საზოგადოების ახალ მოლოდინებზე და ამ საზოგადოებაში გაბატონებულ პოლიტიკურსა და სოციალურ ღირებულებებზე. საქართველოში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ელექტრონული მთავრობის კონცეფციის დანერგვისათვის. ამ მხრივ ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის საჭიროა ელექტრონული მთავრობის პროექტების განვითარების დონის მაჩვენებელთა სისტემატურად გაზომვა, მათ შორის რეგიონულ დონეზე. ეს საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ წარმატების მთავარი ფაქტორები და განვითარების ბარიერები ელექტრონული სახელმწიფო მომსახურების გაწევის სფეროში.

საინფორმაციო პროდუქტების და ტექნოლოგიების გავრცელების, წარმოებისა და ეფექტიანად გამოყენების დონეში საქართველოსა და განვითარებულ ქვეყნებს შორის არსებული განსხვავების შემცირების მიზნით 1999 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა „საქართველოს ინფორმაციზაციის სახელმწიფო დეპარტამენტი“ (ბრძანება 678, 21.12.1999წ); ხოლო 2004 წელს შეიქმნა საქართველოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო-პროგრამა;

ელექტრონული მთავრობის კონცეფციის რეალიზების უმნიშვნელოვანესი ნაწილია აღმასრულებელი ხელისუფლების რეგიონალური ორგანოების გადასვლა ელექტრონულ სახელმწიფო მომსახურებაზე. ამ პროცესის რეალიზება უნდა ხდებოდეს საქართველოს სახელმწიფო მომსახურების პორტალისა და მისი რეგიონული

³⁸ Holland, C. Measuring and Evaluating E-Government: Building Blocks and Recommendations for a Standardized Measuring Tool [Text] / C. Holland, F. Bongers, R. Vandeberg, W. Keller, R. te Velde // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York: Information Science Reference, 2008. - P. 1690-1707.



ანალოგების მეშვეობით. სახელმწიფო მომსახურების პორტალი უნდა ასრულებდეს ხელი-სუფლების ორგანოებთან ურთიერთქმედების სა-კითხვებში მოქალაქის საინფორმაციო უზრუნველყოფის ერთიანი ცენტრის ფუნქციას. ნებისმიერი მომსახურების გაწევა ერთ ადგილასაა კონცენტრირებული, განცხადების ჩაბარებით დაწყებული და აღმასრულებელი ან სხვა ორგანოს გადაწყვეტილების გაცემით დასრულებული. ამის რეალიზება ხდება „ერთი სარკმლის“ ტექნოლოგიის გამოყენებით. ამასთან, უწყებათშორისი საინფორმაციო გაცვლის პროცესი დაფარულია განმცხადებლისათვის. იგი აღარ არის კურიერი ერთი უწყებიდან მეორეში საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის ტარების თვალსაზრისით. განმცხადებელი ერთხელ აბარებს დოკუმენტების მინიმალურად აუცილებელ ერთ ნაკრებს, ერთ ადგილას, ერთი ფორმით, ერთ სამსახურში და ერთ სპეციალისტს, ხოლო ამის შემდეგ სამსახური დამოუკიდებლად ახორციელებს შეთანხმებებისა და გაფორმების ყველა პროცედურას.

საქართველოში სახელმწიფო მომსახურების პორტალი მომსახურების უმრავლესობისათვის მხოლოდ ამ მომსახურების შესახებ ინფორმაციას, განცხადებებისა და სხვა დოკუმენტების სანიმუშო ფორმებს მოიცავს ჩვეულებრივ რეჟიმში მათ მისაღებად. ამგვარად, გადაჭრილი არაა სახელმწიფო დაწესებულებებში რიგების პრობლემა, მოქალაქეებმა ტრადიციული საქალაქო ვარიანტით თვითონ უნდა გააფორმონ ყველა საბუთი და ინსტანციებში ატარონ ისინი, ხოლო პორტალი მარტო კოორდინირებას უწყევს ამას და ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ დოკუმენტების რომელი პაკეტის შეგროვება და რომელ დაწესებულებაშია მისი მიტანა საჭირო.

თუმცა, ელექტრონული მთავრობის მთავარი პრობლემა ამჟამად არის ის, რომ მისი შექმნა დაიწყო არასისტემატურად და ერთიანი სტანდარტების გარეშე. ამიტომ ელექტრონული მთავრობის შესახებ ადმინისტრაციული რეფორმა ყველა რეგიონმა თავისებურად განახორციელა. შედეგად წარმოიშვა „დაქუცმაცებული ავტომატიზაცია“, როცა ფუნქციების ნაწილი ავტომატიზებულია ნაწილობრივ შეუთავსებელი ისეთი სისტემების ფართო სპექტრის გამოყენებით, რომლებიც ერთმანეთისგან გათიშულად მუშაობენ. რეგიონული პორტალები ცენტრთან ერთად მთლიან ქსელს კი არ წარმოადგენენ, არამედ თითოეული მათგანი ჩაკეტილი სისტემაა.

არ არსებობს საერთო სტრუქტურა - სხვადასხვა საიტზე განთავსებულ განყოფილებებს სხვადასხვა სათაური შეიძლება ჰქონდეს, ძლიერ განსხვავდება საიტების საერთო დიზაინიც. საკ-

მარისია აღნიშნოთ მომსახურების აღწერის სხვადასხვა წესი: არ არსებობს საერთო რეესტრი და არც აღწერის მოცულობებია ერთნაირი. უნივერსალიზებული არაა მომხმარებელთან ურთიერთქმედების წესი. იმისათვის, რომ სხვადასხვა რეგიონში ისარგებლო სახელმწიფო მომსახურების პორტალით, მისი სტრუქტურისა და კლიენტთა მომსახურების შესახებ სხვადასხვა ცოდნაა საჭირო. თანაც ერთ შემთხვევაში გამოყენებულია მოსარგებლის იდენტიფიკაციის საშუალებები, სხვაში - არა. ბოლოს, პორტალები საინფორმაციო ხასიათისაა და ნაკლებადაა ორიენტირებული სახელმწიფო მომსახურების მიღების მომლოდინე განმცხადებელთან კონტაქტზე. ყველაზე ხშირად უბრალოდ შეუძლებელია სახელმწიფო მომსახურების მიღება დისტანციურ რეჟიმში. მომსახურების ერთი ნაწილისთვის დამატებით შესაძლებელია ელექტრონული საბუთის შევსება ან გადმოწერა, მაგრამ ხელისუფლების ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის იურიდიულად მნიშვნელოვან სრულფასოვან ელექტრონულ ურთიერთქმედებაზე საუბარი ზედმეტია.

ხსენებული პრობლემის მოგვარებამ უნდა გამოიწვიოს ეროვნული მასშტაბის კორპორაციული საინფორმაციო სისტემის დანერგვა, რათა მთელი ქვეყნის მოსარგებლეებს ერთ ისეთ წყაროსთან შეეძლოთ ურთიერთობა, რომელსაც სისტემის განვითარების კვალობაზე რეგიონული და მუნიციპალური განშტოებები ექნება.

ყველა უწყებაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბიზნეს-პროცესების უნიფიკაცია, საინფორმაციო სისტემების ერთიანი სტანდარტები, მათი თავსებადობა, გამჭვირვალობა და ა.შ. ამ დროს პირველი ნაბიჯი უნდა იყოს თითოეული უწყების ფუნქციების დეტალური ინვენტარიზაცია, მისი შიდა რეგლამენტების გასაჯაროება და მათი შემდგომი ოპტიმიზაცია. ამ პრობლემის გადაჭრის გამოცდილება დაგროვილია დ-ტექნოლოგიების ბაზაზე კორპორაციული ავტომატიზაციის სფეროში. სახელმწიფო მმართველობის ბიზნეს-პროცესების ერთიანი ლოგიკის აგება, საზოგადოებრივი ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მათი ოპტიმიზება და ამ პროცესებისათვის მაქსიმალური გამჭვირვალობის მინიჭება ელექტრონული მთავრობის მშენებლობის ერთ-ერთი საკვანძო ამოცანაა.

ელექტრონული მთავრობის დანერგვაში არსებული სხვა პრობლემებია უწყებებს შორის არასაკმარისი კოორდინაცია, ნორმატიული მხარდაჭერის უქონლობა და ელექტრონული მთავრობის კონცეფციის არ ქონა. მოქმედი საინფორმაციო სისტემების უმრავლესობა ერთიანი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის და სამუშაო-



თა საერთო კოორდინაციის უქონლობის პირობებში ყალიბდებოდა. მასში მოყვანილი ცნობები ნაწილობრივ მიუწვდომელია სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოებისთვის, რაც პრაქტიკაში მნიშვნელოვან დაგვიანებებს იწვევს უწყებათშორის დონეზე ინფორმაციის გაცვლის დროს, ხდება მისი მრავალჯერადი შეგროვება და დუბლირება ცალკეულ სისტემებში.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ქვეყნის მოსახლეობის კომპიუტერული გაუნათლებლობა. 2010 წლისათვის დაახლოებით 1.6 მლნ კაცი (69%) არ იყენებდა ელექტრონულ ინტერნეტ-სერვისებს. ამის მიზეზია მოსახლეობის უნდობლობაც. ამას ის ასაბუთებს, რომ ამჟამად თავისუფლადაა ხელმისაწვდომი მოსახლეობის ის პირადი ინფორმაცია, რომელსაც სხვადასხვა სტრუქტურებში იყენებენ.

გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის შემდეგ მოხდება „ელექტრონული ცნობარიდან“ ელექტრონულ მთავრობაზე გადასვლა, რომელიც რეალურ სარგებლობას მოუტანს მოქალაქეებს, საზოგადოებასა და სახელმწიფოს.

თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოება და ელექტრონული მთავრობა, როგორც მისი ელემენტი, საზოგადოებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების მდგომარეობის შეფასების ინსტრუმენტების მოწინავე ნაკრებს მოითხოვს.

რეგიონების ელექტრონული მთავრობის შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესებას ორი მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს. ჯერ ერთი, სისტემატურ გაზომვას რეგიონებში ელექტრონული მთავრობის განვითარების მიმართულებების გამოვლენა შეუძლია. ამ ინფორმაციის გამოყენებით პოლიტიკოსები შეძლებენ იმ სფეროების განსაზღვრას, რომლებშიც დამატებითი ძალისხმევაა საჭირო. მეორე, ეს გაზომვები შეიძლება გამოდგეს რეგიონებს შორის განსხვავებათა გამოსავლენად და მათ ერთმანეთისგან შეუძლიათ ისწავლონ.

რეგიონული ელექტრონული მთავრობის მდგომარეობის შეფასების აუცილებლობას ადასტურებს ამერიკელი მეცნიერის, ეკონომისტ პიტერ დრაკერის შემდეგი სიტყვებიც: „If you can't measure it, you can't manage it“³⁹. ეს ნიშნავს: თუკი თქვენ არ შეგიძლიათ რაღაც შეცვალოთ, მაშინ თქვენ არ შეგიძლიათ მართოთ იგი. აქედან გამომდინარე, ელექტრონული მთავრობის შეფასების პროცესი განუყოფლად უკავშირდება განხილულ სფეროში მმართველობის რეგიონულ პროცესებს. ეს პროცესები მოიცავს ინფორმაციის მიღებას, შენახვას, გარდაქმნასა და გადაცემას.

მართვის ნებისმიერ პროცესში ყოველთვის ხდება ორი ობიექტის - მმართველისა და სამართავის ურთიერთქმედება, რომლებიც პირდაპირი და უკუკავშირის არხებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. პირდაპირი კავშირის არხი გადასცემს მმართველობით სიგნალებს, უკუკავშირისა კი - ინფორმაციას სამართავი ობიექტის მდგომარეობის შესახებ. ასეთ სისტემას მართვის ჩაკეტილ სისტემას უწოდებენ.

ჩაკეტილ სისტემაში მართვის მთავარი პრინციპია სამართავი ბრძანებების გაცემა უკუკავშირით მიღებული სიგნალების შესაბამისად. ასეთ სისტემაში მმართველი ობიექტი ცდილობს სამართავი ობიექტის იმ მდგომარეობიდან ნებისმიერი გადახრის კომპენსირებას, რომელიც მართვის მიზნებითაა გათვალისწინებული.

ამგვარად, აუცილებელია ხელისუფლების რეგიონულმა ორგანოებმა სისტემატურად ჩაატარონ რეგიონის ელექტრონული მთავრობის მდგომარეობის შეფასება და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიმუშაონ მაკორექტირებელი ზომების სისტემა. „შეფასება - მაკორექტირებელი ზომები“-ს ყოველი იტერაციის შემდეგ უნდა ხდებოდეს რეგიონული ელექტრონული მთავრობის სისტემის გაუმჯობესება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ელექტრონული მთავრობის გაუმჯობესება მუდმივი იქნება, რადგანაც საინფორმაციო ტექნოლოგიები განუწყვეტლივ ვითარდება, საზოგადოებრივი სისტემები კი, მათ შორის - ელექტრონული მთავრობა, აუცილებლად უნდა იყოს ამ დარგში არსებული მიღწევების შესაბამისი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეგიონის ელექტრონული მთავრობის მართვის სისტემა მმართველობითი მონიტორინგის სისტემას წარმოადგენს.

მონიტორინგი ელემენტების, მოვლენების, პროცესებისა და ურთიერთქმედებათა მდგომარეობაზე სპეციალურად ორგანიზებული, მიზანმიმართული და სისტემატური დაკვირვებაა მათი შეფასების, კონტროლის ან პროგნოზის მიზნით. მონიტორინგის სისტემატურობა იმას ნიშნავს, რომ იგი მუდმივმოქმედი საინფორმაციო პროცესია. მმართველობითი მონიტორინგი უნდა გვესმოდეს როგორც მმართველობითი საქმიანობის ობიექტის და მასზე მოქმედი გარე ფაქტორების შესახებ მონაცემებზე დაკვირვებისა და მათი შეგროვების პროცესი, მიღებული შედეგების დამუშავება, მათი შენახვა, გამოყენება და გავრცელება სამართავ ობიექტზე მართვის სუბიექტის ეფექტიანად ზემოქმედების მიზნით.

ელექტრონული მთავრობის მართვის სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია რეგიონების ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზების ინფორმაციული

³⁹ United Nations E-Government Survey 2012: E-Government for the People [Text] / UN Department of Economic and Social Affairs. - New York: UNDESA, 2012. - 143 p.



უზრუნველყოფის მექანიზმის სრულყოფა.

რეგიონების ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზაციის საინფორმაციო უზრუნველყოფის მექანიზმის არსებულ სტრუქტურაში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული შემდეგი ბლოკები: ა) რეგიონის ელექტრონული მთავრობის მდგომარეობის კომპლექსურად შეფასების და ბ) ამ პროექტების განმავითარებელი მმართველობითი ზომების შემუშავების.

მექანიზმის ძირითადი სტრუქტურული ელემენტია მონაცემთა ანალიტიკური შეფასება, რომელიც უნდა განხორციელდეს მონაცემთა სამფაზიანი ანალიზის მიმართ. ესენია: ამოსავალი აბსოლუტური, შუალედური ფარდობითი და საშუალო ინტეგრალური მონაცემები. ეს იძლევა ელექტრონული მთავრობის განვითარების მაკორექტირებელი მმართველობითი ზომების კომპლექსის შემუშავებისა და მისი პროექტების რეალიზების ეფექტიანობის ანალიზის ჩატარების შესაძლებლობას.

დასკვნა

ელექტრონული მთავრობის რეალიზაციის საინფორმაციო უზრუნველყოფის გაუმჯობესებისკენ მიმართული სადისერტაციო კვლევის პირველი ამოცანაა ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების პირობებში მისი რეალიზაციის ორგანიზაციული ასპექტების გამოვლენა.

ელექტრონული მთავრობის კონცეფციის რეალიზაციის ორგანიზაციულ ასპექტად გვევლინება მუდმივად ცვალებადი გარემოს პირობებში ძირითადი სამთავრობო ფუნქციების შესრულების ახალი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ორგანიზაციული ინოვაციების შერწყმა. ზემოხსენებული კონცეფციის რეალიზება მიზანშეწონილია მრავალდონიანი სისტემურ-ფუნქციონური მიდგომის საფუძველზე. კვლევის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზების მაღალეფექტიანობას განაპირობებს პროექტების თანაბარზომიერი განვითარება ელექტრონული მთავრობის ყველა ფუნქციის მიხედვით, რომელთა შორისაა ელექტრონული ადმინისტრაცია (E-administration), ელექტრონული მომსახურება (E-services), ელექტრონული მმართველობა (E-governance) და ელექტრონული დემოკრატია (E-democracy).

ავტორის მიერ ჩატარებულია სხვადასხვა ქვეყანაში ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზების ინსტიტუციური და ინფორმაციული უზრუნველყოფის ანალიზი. ასევე, გამოვლენილია საქართველოს რეგიონებში ელექტრონული მთავრობის კონცეფციის დანერგვის ძირითადი პრობლემები.

ელექტრონული მთავრობის მართვის სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მისი პროექტების რეალიზების საინფორმაციო უზრუნველყოფის მექანიზმის სრულყოფა. რეგიონის ელექტრონული მთავრობის მართვის სისტემა ჩაკეტილ სისტემად უნდა გვევლინებოდეს.

ხელისუფლების რეგიონული ორგანოები სისტემატურად უნდა ატარებდნენ რეგიონის ელექტრონული მთავრობის მდგომარეობის შეფასებას (უკუკავშირის არხი) და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ადგენდნენ მაკორექტირებელი ზომების სისტემას (პირდაპირი კავშირის არხი). „შეფასება - მაკორექტირებელი ზომები“-ს ყოველი იტერაციის შემდეგ უნდა ხდებოდეს რეგიონული ელექტრონული მთავრობის სისტემის გაუმჯობესება.

რეგიონების ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზაციის საინფორმაციო უზრუნველყოფის მექანიზმის არსებულ სტრუქტურაში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული შემდეგი ბლოკები: ა) რეგიონის ელექტრონული მთავრობის მდგომარეობის კომპლექსურად შეფასების და ბ) ამ პროექტების განმავითარებელი მმართველობითი ზომების შემუშავების, რაც ელექტრონული მთავრობის ფუნქციების რეალიზაციის ინდექსების ანალიტიკური შეფასების საფუძველზე უნდა ხდებოდეს.

მექანიზმის ძირითადი სტრუქტურული ელემენტია მონაცემთა ანალიტიკური შეფასება, რომელიც უნდა განხორციელდეს მონაცემთა სამფაზიანი ანალიზის მიმართ სისტემურ-ფუნქციონური მიდგომის საფუძველზე. ესენია: ამოსავალი აბსოლუტური, შუალედური ფარდობითი და საშუალო ინტეგრალური მონაცემები. ეს იძლევა ელექტრონული მთავრობის განვითარების მაკორექტირებელი მმართველობითი ზომების კომპლექსის შემუშავებისა და მისი პროექტების რეალიზების ეფექტიანობის ანალიზის ჩატარების შესაძლებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Чугунов, А.В. Развитие информационного общества: теории, концепции и программы: Учебное пособие [Текст] / А.В. Чугунов. — Санкт-Петербург: Ф-т филологии и искусств СПбГУ, 2007. — 98 с.
2. К обществам знания: Всемирный доклад ЮНЕСКО [Текст]. — Париж: Изд-во ЮНЕСКО, 2005. — 239 с.
3. Heeks, R. Analyzing e-government research: Perspectives, philosophies, theories, methods, and practice [Text] / R. Heeks, S. Bailur // Government Information Quarterly. — 2006. - № 24(2). — P. 243-265.
4. Public Governance and Management. Definitions and Concepts: E-government. Web site of the OECD [Electronic



resource] / OECD. – 2002. - URL: http://www.oecd.org/EN/about_further_page/0,EN-about_further_page-300-no-directorate-no-no-11-no-no-1,FF.html.

5. რ. ასათიანი. თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი, 2012.

6. Annttiroiko, A.-V. A Brief Introduction to the Field of E-Government [Text] / A.-V. Annttiroiko // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. - P. 41-75.

7. Michel, H. e-Administration, e-Government, e-Governance and the Learning City: A typology of

Citizenship management using ICTs [Text] / H. Michel // The Electronic Journal of e-Government. – 2005. - №3(4). – P. 213-218.

8. Public sector information: a key resource for Europe [Text] Green Paper on Public Sector Information in the Information Society / European Commission. – Brussels : European Commission, 1999. – 28 p.

9. Anttiroiko, A.-V. Introduction to Democratic e-Governance. [Text] eTransformation in Governance. - Hershey: Idea Group Publishing, 2004. – P. 22-49.

10. Michel, H. e-Administration, e-Government, e-Governance and the Learning City: A typology of

Citizenship management using ICTs [Text] / H. Michel // The Electronic Journal of e-Government. – 2005.

11. von Lucke, J. Portals for the public sector [Text] / J. von Lucke // Encyclopedia of Digital Government. – 2007. - Vol. 3. – P. 1328-1333.

12. Дрожжинов, В.И. Мониторинг услуг электронного правительства [Электронный ресурс] / В. И. Дрожжинов. – Режим доступа: <http://www.iatp.am/economics/egov/it%20government.pdf>

13. Чернов, А.А. Становление глобального информационного общества: проблемы и перспективы [Текст] / А.А. Чернов. – Москва : Издательско-торговая корпорация «Дашков и К°», 2003. – 232 с.

14. Вершинская, О.Н. Существующие модели построения информационного общества [Текст] / О.Н.

Вершинская // Информационное общество. - 1999. - № 3. - С. 53.

15. LisbonStrategy[Electronicresource].-URL:http://cordis.europa.eu/programme/rcn/843_en.html

16. eEurope - An information society for all [Text] / Communication on a commission initiative for the special European Council of Lisbon. – Brussels, 2000. – 16 p.

17. URL: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52005DC0229>.

18. Some key issues in Europe,s competitiveness— Towards an integrated approach [Electronic resource].2005. –URL: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52003DC0704>

19. The Role of eGovernment for Europe’s Future [Text].-Brussels:Commission of the European communi-

ties, 2003. - 26 p.

20. Leitner, C. E-Government in Europe: The State of Affairs[Text] / C. Leitner. - Maastricht : European Institute of Public Administration, 2003. - 63 p.

21. Henten, A. European planning for an information society [Text] / A. Henten, M. Falch, K.E. Skouby / Telematics and Informatics. - 1996. – № 13(2). – P. 177-190.

22. Чернов, А. А. Становление глобального информационного общества: проблемы и перспективы [Текст] / А.А. Чернов. – Москва : Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2003. – 232 с.

23. Paperwork Reduction Act of 1995 [Electronic resource]. – URL: <http://www.archives.gov/federal-register/laws/paperwork-reduction>

The FreedomofInformationAct[Electronicresource].- URL: http://www.justice.gov/oip/foia_updates/Vol_XVII_4/page2.htm

24. Information Technology Management Reform Act of 1996 [Electronic resource]. - URL: <http://govinfo.library.unt.edu/npr/library/misc/itref.html>

25. Government Paperwork Elimination Act of 1998 [Electronic resource].-URL: http://www.cio.gov/documents/paperwork_elimination_act.html

26. Memorandum on Electronic Government [Electronic resource].-1999.-URL: <http://www.gpo.gov/fdsys/pkg/PPP-1999-book2/pdf/PPP-1999-book2-doc-pg2317.pdf>

27. Use of Informational Technology to Improve Our Society [Electronic resource]. - URL: http://findarticles.com/p/articles/mi_m2889/is_51_35/ai_59520696/

28. Кристальный, Б.В. Электронное правительство. Опыт США [Текст] / Б.В. Кристальный, Ю.В. Травкин; под ред. В.И. Дрожжинова. – Москва : Эко-Трендз, 2003. - С. 23-27.

29. E-government strategy [Electronic resource] / Office of Management and Budget. – 2002. - URL: <http://www.whitehouse.gov/omb/pubpress/2003-12.pdf>.

30. Seifert, J.W. E-Government Act of 2002 in the United States [Text] / J.W. Seifert, H.C. Relyea // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. – P. 154-161.

31. Seifert, J.W. E-Government Act of 2002 in the United States [Text] / J.W. Seifert, H.C. Relyea // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. – P. 154-161.

32. Seifert, J.W. E-Government Act of 2002 in the United States [Text] / J.W. Seifert, H.C. Relyea // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. – P. 154-161.



33. Kubo, S. Local E-Government in Japan: IT Utilization Status and Directions [Text] / S. Kubo, T. Shimada // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York: Information Science Reference, 2008. - P. 2217-2230.

34. Ministry of Public Management, Home Affairs, Posts and Telecommunication [Electronic resource].

35. e-JapanStrategy[Electronicresource].-URL:http://www.kantei.go.jp/foreign/it/network/0122full_e.html

36. Government of Japan (GOJ) [Electronic resource]. - 2005. - URL: http://www.guoukaku.go.jp/siry-ou/index_kouhyou.html

37. Чернов, А. А. Становление глобального информационного общества: проблемы и перспективы [Текст] / А.А. Чернов. – Москва : Издательско-торговая корпорация «Дашков и К°», 2003. – 232 с.

38. Жумабаева, Р. Электронное правительство Южной Кореи / Р. Жумабаева [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://www.dgt.kz/?pg=view&vip=32&razd=2&id=525>

40. United Nations E-Government Survey 2012 : E-Government for the People [Text] / UN Department of Economic and Social Affairs. - New York : UNDESA, 2012. – 143 p.

INFORMATION SUPPORT OF A REALIZATION OF THE ELECTRONIC GOVERNMENT IN THE CONDITIONS OF INFORMATIZATION OF INDUSTRIAL PROCESSES

Summary

VAKHTANG DATASHVILI -
professor of GTU

social_economica@mail.ru

TINA MELQOSHVILI -
PhD student of GTU
tina.melkoshvili@tsu.ge

The article consists of introduction and main part.

In the introduction there is discussed the relevance of this topic, which is, to date, the global socio-political and economic changes caused by the new waves of technological revolution, and these changes can not bypass Georgia. The challenges facing the developing world, should be considered and acceptable for Georgia too. Establishing of digital democracy and e-governance is the only guarantee of the country's progress and development.

The first part of the working - "the organizational aspects for formation and realization of the e-government in the conditions of the information society establishment" discusses the variety of explanations of electronic government; E-government is defined as the instrument of the State transformation; Electronic government formation process is discussed, as its sustainable

development of the State and the necessary conditions for full-fledged entry into the world economy. The middle part of the working - "e-government projects overseas experience" discusses the overseas experiences of the information society and e-government formation in conditions of information-technology revolution and current trends in the world. The last part of the working - "Georgian regions e-government projects mechanism structure of information assurance" deals with the mechanisms of information provision, its structure, the existing gaps and problems, as well as the main directions of the electronic government realization. The problems identified in the implementation of the electronic government basic concepts. There is argued to improve of old and new tools for regional e-government estimate and the necessity of the well-established required regional evaluation criteria.